

საბჭოთა სპორტსმენების რეკორდები

20 სექტემბერს ბერლინში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების არმიულ ფეხბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი პრადის „დუკლა“, ბულგარეთის ჩემპიონი ცდნა (სოფია), ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი ცსკ მო, უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი, ბუდაპეშტის „ჰონვედი“, „ფორვერტსი“ (ბერლინი), ჩინეთის სახალხო არმიის ნაკრები, „პარტიზანი“ (ტირანა), ვიეტნამის ჩემპიონი „ჩეკონგი“ და კორეის არმიის ნაკრები.

გერმანული გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ არმიულთა ტურნირს. ზიზომბილფელდის პირველი ადგილის ყველაზე უფრო რეალურ პრეტენდენტებად მიაჩნიათ ცსკ მო და „დუკლა“. „დუკლას“ ფეხბურთელები ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ბირთვის წარმოადგენენ. აქ თამაშობენ ცენტრალური მცველი, ჩადეკი, მსოფლიოში ცნობილი მარცხენა მცველი, ეროვნული ნაკრების კაპიტანი ნოვაკი, ნახევარმცველები პლუსკალი და მაზოუსტი, რომლებიც საუცხოო წყვილად არიან მიჩნეული, თავდასხმელები დვორაკი და ბოროვიჩა.

ცდნა თამაშის კლასით ბევრად აღემატება ბულგარეთის დამარჩენ გუნდებს და უკანასკნელ წლებში მუდმივად პირველ ადგილებს იკავებს. ამ გუნდში თამაშობს ბულგარეთის ყველაზე უფრო პოპულარული ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დოქტორი სტეფან ბოჟოვი, რომელიც 17 წელია უფლებად თამაშობს ეროვნულ ნაკრებში, როგორც ნახევარმცველი, თამაშის მაღალი კლასით გამოირჩევა, აგრეთვე ცდნას ცენტრალური მცველი მანოლოვი.

წლევიანდელ სეზონში უნგრეთის უძლიერეს გუნდებს შორის კვლავ ჩადგა ბუდაპეშტის „ჰონვედი“. მის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო კლასის ფეხბურთელები იოჟეფ ბოჟიკი, ლასლო ბუდაი და ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ლაიოშ ტიხი. ძლიერა შემადგენლობა ყავთ რუმინეთისა და პოლონეთის არმიულ კოლექტივებსაც. ამ უკანასკნელში მაგალითად, თამაშობენ საბჭოთა მასურებლებსათვის ცნობილი ფეხბურთელები ზინტარი, ვოენიაკი და ბრინჩი.


ფინალური მატჩები შედგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს სტადიონზე ლაიპციგში, რომელიც 120 ათას მაყურებელს იტევს.

მ. ტალი — ტურნირში პირველ ადგილზე

პორტოროჟში 11 სექტემბერს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება, რომელმაც საბოლოოდ გამოავლინა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები. დ. ბროსტეინმა კორდოსოსთან ცაიტნოტში დაუშვა უხეში შეცდომა და დამარცხდა. ოლაფსონმა დაამარცხა დეგრეიფი, ხოლო მატანოვიჩმა მოუგო ლარსენს. ყაიმიტ დამთავრდა ტალ-შერენის პარტია. ამით საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა მ. ტალმა მოაგროვა 13,5 ქულა და მოიპოვა ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

მეორე ადგილი დაიკავა იუგოსლაველმა გროსმისტერმა გლიგორიჩმა. პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ტ. პეტროსიანი, ბენკო, ფიშერმა (ორივე აშშ-დან) და ისლანდიელმა ოლაფსონმა.

რ
ე
ნ
ე
ბ
ა
ნ
ს



ვ. გ. მ. ტალი — ტურნირში პირველ ადგილზე

საბჭოთა სპორტსმენების რეკორდები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპორტსმენების რეკორდების და პროპაგანდის სახელმძღვანელო ორგანო
რეკორდები
 Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 110 (1280) კვირა, 14 სექტემბერი, 1958 წ. ბაზოციების 30-15 წელი. ზასნი 30 პაპ.

რამდენი ჭირ-ვარამი გადაუტანია საქართველოს დედაქალაქს, რამდენჯერ შემოსევია მას მტრის ურდოები, დაუწვავთ, დაუნგრევიათ; მაგრამ მიწის პირისაგან ვერ აღუგვიათ. ნანგრევები კვლავ შერობებოდ იქცეოდა, გაჩხილი, გადამწვარი ბაღები იფურჩქნებოდა, ხეები ახალ ულორტებს იხსამდნენ და ქალაქი კვლავ სისხლავრც ცხოვრებით ცხოვრობდა.

თბილისმა თავისი საზღვრების გავანტური გაგანთერება დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართველ ხალხს სათავეში კომუნისტური პარტია ჩაუდგა, მას შემდეგ, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის ცხოველყოფილება მზემ თავისი სხივებით გაათბო ჩვენი მაღლითოსილი მიწა.



რესპუბლიკის სპორტული ბურჯი

ვის შემდეგ მწვერვალს თავს მოვუქეციოთ და სახელდახელო ნიშნი ასეთი ბარათი დავტოვეთ: „ამიერიდან ეს მწვერვალი იწოდებოდეს — თბილისის 1500...“

პირველხარისხის ბაზა. მოეწყო მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები, კროსები, ამანათობები, მოტო-ველო კოლონიების საზეიმო სვლა დედაქალაქის ქუჩებში, მუნიციპალიტეტისა და მისი განხორციელებისათვის უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

მარი ეწვევა დედაქალაქს, ბევრი დაესწრება „ბურჯის ბურჯის“ სტადიონზე განხორციელებულ სპორტულ ზეიმს და სხვა ღონისძიებებს. ამიტომ საჭიროა დაზუსტებული და დახვეწილი იქნას ყოველი წვრილმანი დეტალი. ყველაფერი უნდა ჩავატაროთ ზუსტად, მაღალი სპორტული გემოვნებით. სწორედ ისე, როგორც ჩვენს საყვარელ თბილისს და მის ზეიმზე დასასწრებლად ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს ეკადრებათ.

რესპუბლიკის სპორტული ბურჯი თბილისია. აქ ეძლევა დასაბამი რეკორდთა უმრავლესობას, აქ დავუყავდნენ ჩვენი სახელგანთავის სპორტსმენთა თაობები. თბილისი სპორტში სამართლიანად ითვლება მოწინავეთა შორის მოწინავედ თბილისის აღმწარდელი მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენების ბ. პიკაძის, შ. დუმბაძის, ა. მეგობის, ფილის, გ. კარტოზიას, ო. ქორქიას, ვ. ბალაგაძისა და სხვათა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს უძველესი ქალაქი, ეს დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქი კვლავაც შეავსებს საბჭოთა სპორტის რიგებს თავის ბუდიდან აფრენილი შევარდნებით.

საბჭოთა სპორტსმენების რეკორდები

ბრიუსელში გამართულ საკორდო ავიომოდელების მსოფლიო პირველობისა და ევროპის მეცხრე ჩემპიონატში სტარტზე გამოვიდა 16 ქვეყნის წარმომადგენელი. რეაქტიული ავიომოდელით შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა სპორტის ოსტატი ი. ივანიკოვი, რომლის მოდელმა ჩასათვლელი დისტანცია გაიარა 301 კილომეტრის სისწრაფით საათში, რითაც 20 კილომეტრით გადააჭარბა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

კიევში, ნ. ს. ბრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე უკრაინის ქალთა გუნდმა ლ. იანვარევის, დ. კოვლოვასა და ლ. ლისენკოს შემადგენლობით ესტაფეტაში 3x800 მეტრზე რბენაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 6.27,4, რაც 0,2 წამით აღემატება ძველ რეკორდს.

კრასნოდარში დამთავრდა რსფსრის მძლეოსანთა ჩემპიონატი. 80 მეტრზე თარჯრენში პირველი ადგილი მოიპოვა გორკელმა სპორტის ოსტატმა გ. ბისტროვამ, რომელმაც აღნიშნული მანძილი გაიარა 10,6 წამში და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის განმეორებაა.

ქალები პიკაძე, ვაჟაძე — მესამე ადგილზე

ბრალში დამთავრდა ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდმა უკანასკნელ მატჩში ანგარიშით 3:2 მოუგო პოლონეთს და მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. მეორე ადგილზე არიან ჩეხები, მე-სამეზე — პოლონელები.

ვაჟაძე — შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს ჩეხოსლოვაკელებმა, რომლებმაც ბოლო შეხვედრაში დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის ნაკრები — 3:2. მეორე ადგილზე გამოვიდნენ რუმინელი ფრენბურთელები. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა მოიპოვეს მესამე ადგილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 სექტემბრისათვის




	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პარტაკი“	18	12	4	2	49:22	28
„დინამო“ მ.	19	11	3	5	37:23	25
ცსკ მო	20	8	8	4	38:24	24
„ლოკომოტივი“	17	8	5	4	34:21	21
„ზენიტი“	18	7	7	4	35:28	21
„შახტორი“	17	9	3	5	21:21	21
„ტოპედო“	19	5	8	6	46:39	18
„დინამო“ კ.	16	4	8	4	29:24	16
„დინამო“ თბ.	18	6	2	10	28:51	14
„რ. სოვეტ“	17	3	6	8	15:24	12
„მოლოდოვა“	18	2	8	8	22:37	12
„ადმირალტ“	21	3	0	18	21:61	6

მოსკოვი. 10 სექტემბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტოპედო“ (მოსკოვი). ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს რეკორდებმა.

კიშინიოვი. 11 სექტემბერი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მოლოდოვა“ და ლენინგრადის „ზენიტი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ბაზების კეთილმოწყობა ს ა ქ ა რ თ ვ ე დ ო ს II სპარტაკოადისტოვის მზადების უმნიშვნელოვანესი ფ ა ქ ტ ო რ ი ა



ბის გამო ეჭვს იწვევს. წელწადზე მეტია გრძელდება ქალაქის სტადიონის რეკონსტრუქცია. იმის ნაცვლად, რომ ეს საქმე ფეხბურთის მოედნისა და მძლეოსნობის სექტორების მოწყობით დაეწყეთ და სპორტსმენებისათვის მიეცათ რეგულარული წვრთნის საშუალება, ბაზის შემოავლეს კაპიტალური ქვის კედელი, რომლის სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელია. ბორჯომელმა ფეხბურთელებმა საკუთარ „მოედანზე“ უკვე გამართეს რამდენიმე მატჩი რესპუბლიკურ პირველობაზე, მაგრამ მოედანი იმდენად მოუწყობელია, რომ ყოველი შეხვედრა მთავრდება ტრავმის ახალ-ახალი შემთხვევებით. ასე იყო 20 ივლისს ბორჯომისა და ხაშურის ფეხბურთელთა მატჩის დროსაც. № 3 სამშენებლო უბანმა (უფროსი ა. ასათიანი) კარგა ხანია დაამთავრა სტადიონზე გასასდევლების მშენებლობა, მაგრამ... მასში თვითონ ჩასახლდა, რის გამო სპორტსმენებს კვლავ ღია ცის ქვეშ უხდებათ გახდა.

უკეთესი გარემოებისათვის

გასული წლის „ლელოს“ ერთ-ერთ ნომერში სათაურით „ჩვენი დებუტი“ გამოქვეყნდა წერილი ხელსაწყოთა მშენებლობისა და წარმოების საშუალებათა ავტომატიზაციის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრების შესახებ. წერილში აღნიშნული იყო პირველ სპორტულ ღონისძიებათა კარგი შედეგები და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა ინტერესი სპორტული ცხოვრებისადმი.

მას შემდეგ ერთი წელიც არ გასულა და კოლექტივმა კიდევ უფრო უკეთეს მარჯვენებს მიიღწია. ჩვენმა კოლექტივმა ყველა სახეობის ჯამის მიხედვით ერთ-ერთ პირველი ადგილი დაიკავა პროფკავშირების საქალაქო სპარტაკიადაზე.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართულ შიდასპორტულ პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში ინსტიტუტის ჩემპიონები გახდნენ ვ. სახელაშვილი და ლ. ესაიშვილი.

გუნდურ პირველობაზე ჭადრაკში, სადაც 7 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვა მესამე განყოფილების პირველმა გუნდმა, ხოლო ფრენბურთში საუკეთესო იყო საცდელი წარმოების კოლექტივი.

ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სარაიონო, საქალაქო და „განთიადის“ საქალაქო საბჭოს შეჯიბრებებში. მსროლელებმა მეორე ადგილი მოიპოვეს რაიონის საწარმოთა შორის, საქალაქო ღონისძიებაში კი პირველ ადგილზე გამოვიდნენ თავიანთ ქვეჯგუფში. „განთიადის“ პირველობაზე მესამე ჯგუფის კოლექტივებს შორის ჩვენი ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა ფრენბურთში, ხოლო მოჭადრაკეებმა პირველი ადგილი მოიპოვეს.

პროფკავშირების საქალაქო სპარტაკიადაზე მაგიდის ჩოგბურთში

გუნდმა მ. ბახტაძის, გ. კალანდარის, თ. კილასონიძის, გ. ელიაშვილის, ვ. სახელაშვილისა და ი. გეორგიას შემადგენლობით გაუსწრო მრავალ მოწინააღმდეგეს და მესამე ადგილი გაინაღდა. მოჭადრაკე ა. ჩიქოვანმა დიდ წარმატებას მიიღწია საქალაქო შეჯიბრებაზე.

წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპარტაკიადაზე ვერ შევძელით მძლეოსანთა გუნდის გამოყვანა, რაც ზოგიერთი სპორტსმენის საქმისადმი უსულგულო დაოკიდებულებით აიხსნება, კარგი მონაცემების მქონე ზოგიერთი ამხანაგი, არაფრად ადგებს კოლექტივის ინტერესებს და უარს ამბობს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ხელს გვეშლის საკუთარი ბაზების სიმცირეც.

ახლა ინსტიტუტში ინერგება სპორტის ესეთი სახეობები, როგორცაა ცურვა და ნიჩბოსნობა, ავიღეთ განსაზღვრული დრო საცურაო აუზისა და თბილისის ზღვაზე, სადაც წმირად დავდივართ სავარჯიშოდ, განზრახული გვაქვს ჩამოვყავილით შაშის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ველოსპორტისა და ფარიკაობის სექციები.

უქანასკნელ ხანებში ბევრ განყოფილებაში დაენერგეთ საწარმოო ტანვარჯიში, მალე იგი ყველა ლაბორატორიაში გავრცელდება.

ხელსაწყოთა მშენებლობისა და წარმოების საშუალებათა ავტომატიზაციის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები პირობას იძლევიან ახალი წარმატებები მოიპოვონ ფიზკულტურისა და სპორტში.

არც ერთი კეთილმოწყობილი მძლეოსნური სექტორი რ ა ი ო ნ შ ი

უკვე რამდენიმე წელია და ჯერ კიდევ ვერ გამოსწორდა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ბორჯომის რაიონში. საგრძნობლად იკლო რესპუბლიკურ ნაკრებში აქ აღზრდილ სპორტსმენთა რაოდენობამ, შემცირდა სპორტული ბაზების რიცხვიც. ამჟამად რაიონში არ გაჩნიათ არც ერთი კეთილმოწყობილი სექტორი მძლეოსნობისათვის. 82 ძირეული კოლექტივიდან მეტ წილს არა აქვს მატრევი ტიპის მოედნებიც კი.

საქმიანობას. მხოლოდ ერთხელ, მიმდინარე წლის ივნისში კომიტეტის თავმჯდომარემ „შედლო“ დაემუშავებინა მიღებული დადგენილებები და მოეხსენებინა პარტი-რაიკომში შეკრებილ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის, როცა რაიონის ხელმძღვანელობა იხილავდა სსრ კავშირის ზალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების საკითხს.

ყველა ზემოაღნიშნულმა გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ დღეისათვის რაიონის არც ერთი სპორტსმენი არ შედის რესპუბლიკურ ნაკრებში (გარდა თხილამურებისა), მაშინ, როცა ბაზების კეთილმოწყობითა და წვრთნის სწორი ორგანიზაციით ბორჯომელ ახალგაზრდებში შეიძლება კარგი მონაცემის მქონე არა ერთი სპორტსმენის შერჩევა.

თუ კომიტეტის თავმჯდომარის ი. ამილახვარის საქმიანობას გავეცნობით, ნათელი შეიქმნება, რომ უკეთეს მიღწევებზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. მას დღემდე არ შემოუკრებია აქტივი, შექმნილი არაა კომიტეტის შემადგენლობა, რომელიც სხდომებზე გადაწყვეტდა ყველა საჭირობო საკითხებს, თუმცა არც კომიტეტის სხდომების ჩატარებაზე უზრუნია ვინმეს.

მართალია, აქტივმა საკმაოდ ვრცელი დადგენილება მიიღო სპარტაკიადისათვის მზადების საკითხზე, მაგრამ ჯერჯერობით იგი ფარტანა ქალღალად რჩება, განხორციელებისათვის კი არაფერ ზრუნავს.

ა. კალაშნიკი, ი. ივლიშვილი

ასე გამოიყურება ბორჯომის ბაზები. ზევიდან ქვევით: საჭიდაო არენის მშენებლობა. საცურაო აუზი, რომელიც ორი წელია შენდება. უპატრონოდ მიყრილი კალათბურთის ფარები.

ცნობილია, რომ გეგმა მუშაობის ძირითადი რგოლია. ვერ ვიტყვი, თითქოს, ბორჯომელებს არ სწამდეთ ამ დებულების შემადგენლობა, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარეს თავისი მუშაობის პერიოდში კარგა ხანს არ გახსენებია ამ საკითხის მოგვარება და გასული წლის უკანასკნელი ორი და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სამუშაო გეგმები არ შეუდგენია.

ვილპარაკოთ ქალაქის სპორტულ ბაზებზე. ბორჯომელი ფიზკულტურელები სპორტდარბაზის უქონლობის გამო წლების განმავლობაში მოკლებული იყვნენ ზამთრის პირობებში ვარჯიშს. ახლა აქ სამ საშუალო სკოლასთან შენდება სასკოლო დარბაზები, თუმცა ორი მათგანის დროული დათავრება მშენებლობის ნელი ტემ-

ბ. ვალაშვილი,

ძირეული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

თუ აღნიშნულს დავუმატებთ იმასაც, რომ რაიონულ კომიტეტში არასათანადოდ რეაგირებენ ზემდგომი ორგანოებრიდან მიღებულ დადგენილებებზე, არ დაჰყავთ იგი აქტივად, ნათელი გახდება თუ რა ნაყოფი ექნება მათს





„თავის ხსნა“ მან სპორტში, კერძოდ, ტურინში პპოვა. ჯერ კიდევ გასულ წელს ი. ბუშკინმა გაბედული მარშრუტის განხორციელება დაიხატა მიზნად: ბაქო-როსტოვი - სტალინო-დნეპროპეტროვსკი-კიშინოვი - კიევი-ხარკოვი-კურსკი-ტულა-მოსკოვი. 5.000 კილომეტრი მონხუცი პენსიონერის მიერ გავლილი იქნა მთავის განმავლობაში და მოსკოვში იგი სწორედ დედაქალაქში ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის გახსნის დღეს ჩავიდა.

არანაკლებ საინტერესო და რთული მიზანი დაიხატა ი. ბუშკინმა მიმდინარე წელსაც. თავის ქალიშვილთან ლ. ბუშკინთან და პენსიონერ ე. სტეკოვსკისთან ერთად, რომლებიც მისი ავიატაციის შედეგად ჩაებნენ ამ საინტერესო ტურისტულ ლაშქრობაში, 25 აგვისტოს, ბაქოს ცენტრალური სტადიონიდან სტარტი აიღეს თბილისის მიმართულებით. ი. ბუშკინის თანამოლაშქრეებს, ბედმა უმეტუნა და მანქანების ტექნიკური დაზიანების გამო ისინი ჯერ კიდევ აწერბაიჯანის ტერიტორიაზე — ტაუში გამოეთიშნენ ლაშქრობას. ძველმა ველოტურისტმა მარტო განაგრძო გზა. მან წარმატებით დაძლია მარშრუტის პირველი მონაკვეთი. 7 სექტემბერს ბუშკინი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში იყო, ხოლო 8 სექტემბერს, დილით გეზი ერევნისკენ აიღო. ი. ბუშკინს წინა აქვს გზა: ერევანი-სევანის ტბა-მირაზშირი — ბაქო. ამიერკავკასიის გზებზე 2.000 კილომეტრის გავლის შემდეგ მოხუცი ენთუზიასტი დაუბრუნდება მშობლიურ ქალაქს.

* * *

სურათზე: ი. ბუშკინი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

გადამწყვეტ ეტაპზე

ქალ კალათბურთსამკვლეობის ჩემპიონატის მესამე ეტაპზე უკანასკნელ შეხვედრებში კვლავ წარმატებით გამოიღიან თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები. მეოთხე დღეს ისინი თამაშობდნენ მოსკოველ თანაკლბელებთან წინააღმდეგ. შეხვედრა დაიწყო მაღალ ტემპში. თბილისელები ყველა რგოლში მოქმედებდნენ გააზრებულად და ქულას ქულაზე იღებდნენ. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 56:40. ამ დღეს მოსკოვის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბივლზე გაიმართა კიდევ ხუთი მატჩი. გათამაშების ლიდერმა დედაქალაქის „დინამომ“ ანგარიშით 60:52 სძლია ლენინგრადის სკო-ს. აუტსაიდერმა სვერდლოვსკის „ტრუდმა“ დაამარცხა რიგის „დაუგავა“ — 42:39. „ჟალგირისის“ (კაუნასი) და „სერბი მოლოტის“ (მოსკოვი) შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 54:48. მოსკოვის „ტრუდის“ კალათბურთელებმა დამარცხეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 43:42, ხოლო ტარტუს „კალეგმა“ სძლია როსტოვის „ბურევესტნიკს“ — 59:58.

2000 კილომეტრი ამიერკავკასიის გზაზე

ბაქოელი მენავთობე-პენსიონერი მაგრამ პენსიონერის მუდრო ცხოვრების პავლეს-ძე ბუშკინი 82 წლისა, რება მას არ აკმაყოფილებს. მისგან

საქართველო
ნახევარუნალები
გათუში

მეოთხე ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი გაფრინდაშვილმა ჩაიკოვსკაიას წინააღმდეგ და პერსპექტიული თამაში მიიღო, მაგრამ ბათუმელმა მოქალაქემ კარგად გააზრებული სვლებით ნაწილობრივ გაათანაბრა თამაში. გაფრინდაშვილმა კვლავ მონდობა უპირატესობის მოპოვება და შეცდომით წასწია პაიკი ცენტრში. მან ვერ დაინახა, რომ ეტლებისა და პაიკების გაცვლის შემდეგ ეშუქრებოდა შამათი ერთ სვლაში. ჩაიკოვსკაიამ, რასაკვირველია, არ დაეყოვნა გაფრინდაშვილის მიმე შეცდომის გამოყენება და გაიმარჯვა.

შევავედ მიმდინარეობდა შადურატისომიროვას პარტია. უარეს პოზიციაში ტიხომიროვამ მოხერხებულად გადაიყვანა ეტლი მეფის ფრთაზე და მძაფრი შეტევით გაიმარჯვა.

ოთხი პარტია გადაიდო.

მეხუთე ტურში ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილის პარტია ლიტვის ჩემპიონ კარტანაიტესთან და ჩაიკოვსკაიასი — ლატვიის ჩემპიონ ლაუბერტესთან. ორი მხედრის დებიუტში ლიტველმა მოქალაქემ გამარტვა პოზიცია, რათა სამომავლოდ მეტოქესთან ყაიმი გამოსვლოდა, მაგრამ გაფრინდაშვილმა შესანიშნავად ითამაშა დაახლოებით თანაბარი ენდშპილი და მოგების რეალური შანსები შექმნა. კარტანაიტემ მცდარი კომბინაცია განახორციელა და უეტლოდ დარჩა. იგი დანებდა. გრიუნფელდის დაცვიდან ჩაიკოვსკაია უეტესი პოზიციით გამოვიდა. მალე მან მოიგო პაიკი. ამან დააბნია ლაუბერტე და ხარისხი წააგო. პარტიის დასკვნითი ნაწილი ჩაიკოვსკაიამ დამაჯრებლად ითამაშა და გაიმარჯვა.

ბაქო

ბაქო. (ტელეფონით). აქ ნახევარუნალები გამარჯვებისათვის მეტობრივ მოქალაქეებმა კენჭისყრის შემდეგ ასე განაწილდნენ: ოსტატი ლ. პოლუგაევსკი (კუბინიშვილი), ოსტატობის კანდიდატი თ. ლომია (თბილისი), გროსმაისტერი მ. ტაიმიანოვი (ლენინგრადი), ოსტატები ვ. ანტოშინი (მოსკოვი), ს. პალილბელი (ბაქო), ი. ესტრინი (მოსკოვი), ს. ყუხოვიცი (კიშინოვი), ი. ნიკოლაევსკი (კიევი), საერთაშორისო ოსტატი ლ. არონინი (მოსკოვის ოლქი), ოსტატობის კანდიდატი ე. ჩუკაევი (კაუნასი), ოსტატები ვ. შიანოვსკი (კიევი), მ. შიშოვი (თბილისი), ოსტატობის კანდიდატი დ. აბაკოვი (ბაქო), ოსტატები ა. სოკოლსკი (მინსკი), ხ. მუჩნიკი (მოსკოვი) და ი. იუხტმანი (მოსკოვი).

გადაღებული პარტიების დამთავრებისას კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა მოსკოველმა ოსტატმა იუხტმანმა, რომელმაც მოუგო ლომიას. ანტოშინ-სოკოლსკის გადაღებული პარტია დამთავრდა პირველის გამარჯვებით. გროსმაისტერმა ტაიმიანოვმა ორი გადაღებული პარტია — პოლუგაევსკისთან და მუჩნიკთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ორი გადაღებული პარტიადან ერთხანჯვარი ქულა აიღო ესტრინმა — მოუგო ბაქოელ აბაკოვს და ყაიმი შეუთანხმდა ოსტატ შიშოვს (თბილისი). ლომიამ, რომელსაც პოზიციური უპირატესობა ჰქონდა მოსკოველ ოსტატ მუჩნიკთან, გამარჯვება მოიპოვა.

მეოთხე ტურში იუხტმანმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა ჩუკაევი-თან შეხვედრაში. არონინმა, აბაკოვმა და ესტრინმა მოუგეს შიანოვსკის, ყუხოვიციისა და სოკოლსკის. ყაიმი შეთანხმდნენ მუჩნიკი-პალილბელი და პოლუგაევსკი-ანტოშინი.

ამ ტურში წარუმატებლად გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები შიშოვი და ლომია, რომლებმაც წააგეს ნიკოლაევსკისა და ტაიმიანოვთან.

მეხუთე ტურში ლომია დამარცხდა ანტოშინთან. შიშოვს გადაღებული აქვს არონინთან, სადაც თეთრებს ზედმეტი ფიგურა აქვთ. სამაგიეროდ, შიშოვი ინარჩუნებს გამსვლელ პაიკს. ამ პარტიის ლოგიკური დაბოლოება ყაიმაა. ამ დღეს ტაიმიანოვი-იუხტმანის, ესტრინი-მუჩნიკისა და ნიკოლაევსკი-აბაკოვსკის პარტიები ყაიმი დამთავრდა. ყუხოვიციმ მოუგო სოკოლსკის, ხოლო პალილბელი დამარცხდა პოლუგაევსკისთან შეხვედრაში.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან: იუხტმანი — 4,5 ქულა, ესტრინსა და ტაიმიანოვს 4-4 ქულა აქვთ თვითულს.

როსტოვი

როსტოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპ. კორესპონდენტისაგან).



საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში. მარცხნიდან პირველ რიგში — ზ. მონასელი, ა. შალსურაძე, ვ. არსენიანი, გ. ჯინჭარაძე, ზ. მემვილიანი, გ. დავლიანიძე, ნ. გოგიბედაშვილი და ო. კანდელაკი.



შედა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. თელავის „სპარტაკმა“ თავის მიწაზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი“. საინტერესო თამაში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

სტალინში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და გორის „განთიადი“. მატჩი დამთავრდა ფრდ — 1:1.

სოხუმში გაიმართა მატჩი ადგილობრივ „დინამოს“ და გორის „განთიადს“ შორის. 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

მეორე ჯგუფი. „კოლმეურნე“ (გალი)-„სპარტაკი“ (ცხაია) — 2:3, „სპარტაკი“ (ცხაია)-„ბახმარო“ (ჩოხატაური) — 10:0, „იმერეთი“ (ზესტაფონი)-ადგილმრეველსამმ. (ქუთაისი) — 2:3, „განთიადი“ (ტყვარჩელი)-„ბახმარო“ (ჩოხატაური) — 3:1, „სალხინო“ (გეგუქორი)-ადგ. მრეველსამ. (ქუთაისი) — 3:2, „კოლხიდა“ (ხობი)-„სპარტაკი“ (ცხაია) — 2:2, „ჩაჩქერი“ (ბორჯომი)-ახ. საფხვ. სკოლა II (თბილისი) — 2:0, „კოლმეურნე“ (გურჯაანი)-ორთქლ. ვაგონშემკ. ქარხანა (თბილისი) — 2:2.

სპორტულ სკოლაში განახლდა მუშაობა

ხაშურის რაიონის სპორტული სკოლა ახალ სასწავლო წელს მზადებული შეხვდა: მოწყობილი იქნა ახალი სპორტული მოედანი, შეკეთდა ძველი, დაიწყო მოსწავლეთა ჩარიცხვა სხვადასხვა სპორტულ განყოფილებებში.

შ. ლურსმანაშვილი



თ. პიორბაძე, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

